

1978/2

საქართველოს  
საბავშვო ჟურნალი

მანძი №5

# მანძი

1978



# ჩემო პავაკა მემოზაკო!

ჟურნალი „დილა“ დაიბადა 1928 წლის იანვარში.

წელს მას დაბადებიდან 50 წელი შეუსრულდა:

„დილაში“ მრავალი კარგი მოთხრობა, ლექსი და ზღაპარია დაბეჭდილი.

ბევრმა დღეს საქვეყნოდ ცნობილმა მწერალმა და მსატყარმა ამ ჟურნალში აიდგა ფესი.

ჟურნალი უოველთვის იმის ცდაში იყო, რომ ჰატარა მკითხველის გული მოენადირებინა.

ასეა დღესაც.

ამ ნომერში ვბეჭდავთ 50 წლის მანძილზე ჩვენს ჟურნალში გამოქვეყნებულ ნაწარმოებებიდან საუკეთესოთა შორის საუკეთესოებს.

ჟურნალის მცირე მოცულობის გამო, აქ ვერ მოხვდა არა ერთი შესანიშნავი, მაგრამ მოზრდილი—ლექსი, მოთხრობა თუ ზღაპარი.


ნახატი ზაურ ღინისაძისა

## საქართველო გავასარო

იორამ ქვერტალიძე

რომ არაუის ვატქმევირო:  
 — შენ ქართველი არა ხარო,  
 დედა უნდა გავასარო,  
 მამა უნდა გავასარო!  
 განა მართლა ჰატარა ვარ,  
 აბა, მნახეთ გაის ამდროს;

დიდი ბიჭი, დი-დი, დი-დი,  
 დი-დი უნდა გავიხარდო!  
 და მაშინაც, რომ არა თქვან,  
 შენ ქართველი არა ხარო,  
 მთავარია—საქართველო,  
 საქართველო გავასარო!



# გამა გახსარა

პირდაპირი მხარდაჭერა გილოცავთ იუბილეს და  
 მიზნად მის მონაწილეობას.  
 თქვენი მეგობრები—მხიარული კაცუნები  
 ვეცდებით კარტინების  
 მოსივლით.

## ნიმუ ნაპაშიძე

ერთ საღამოს მამა სამუშაოდან დაღლილი დაბრუნდა. ოთარიკო მოუთმენლად ელოდა მის მოსვლას და კიბეზე მიეგება, შეხედა თუ არა, მაშინვე ჰკითხა:

- რა იყო, მამა, ავად ხარ?
- დავიღალე, შვილო, ბევრი ვიმუშავე. მეორე დღეს, დილით, როდესაც მამა ადგა, ადგა ოთარიკოც.
- რა ამბავია, შვილო, ასე აღრე რად აღექი?—ჰკითხა დედამ.
- მამას უნდა წავყვე სამუშაოდ, მივეხმარები და აღარ დაიღლები,—უპასუხა ოთარიკომ და ქუდი დაიხურა.
- მამას გაეცინა, ბიჭუნა ხელში აიყვანა, აკოცა და უთხრა:
- ყოჩაღ, ბიჭო, ისე გამახარე, რომ აწი აღარ დავიღლებიო!



**ვსესაყი  
 კარტინი**

## სახან მარხალი

შენი გივიველი

მოფრინდნენ მგზო მერცხლები,  
 ფროცქვიტები და მღვებ  
 დედაც, რა დამანებო აქო  
 გულს, მკროდი და თვალღებ.  
 ეფლ-ეფლო უქმუნებო გარშემო  
 შემოსნეული ხალგები:  
 ზოდან უნაბის ეფრესი,  
 ზოდან კი ეფრო მკროთღებო:  
 ჩემო მერცხლები ხალ-თუოთ  
 და მოწყუე ამ ეტანემიან,  
 იტვირენ მინე მწერებსა,  
 ქიადღებოთ ძივებთან.



Handwritten text in a purple stamp-like box at the bottom right corner.

# მგზავრები

## ანა ხახუტაშვილი (ვაჰიტი)

მზიას და ბიძინას დედამ კანფეტები მისცა. მზიამ ისინი წინსაფრის ჯიბეში ჩაიწყო. ბიძინამ თვალი რომ შეასწრო, მზია გარეთ გამოიპატიჟა.

— აი, მზია, შეხედე, ვაშლებს ყუთი ნამდვილ მატარებელს არა ჰგავს?! მოდი ჩავსხ-

დეთ, ვითომ მატარებელია და დიდდასთან წავიდეთ.

მზიას მოეწონა ძმის აზრი, კაბის კალთებზე შეისწორა და შიგ მოიკალათა. ბიძინამ მზიას ხასიათი კარგად იცოდა: საწოლზე ან სკამზე გოგონა ოდნავ რომ დაგერწიათ, იმწამსვე თვალებს დახუჭავდა და ჩაეძინებოდა. მამის ჩაღის ქუდიც თავზე ჩამოაფხატა, ვითომ სამგზავროდ გამოაწყო.

— იპ, როგორ გიხდება, დედაც კი ვერ გიცნობს,—ტაში შემოპკრა ბიძინამ და მზიას გვერდით მიუჯდა,—აბა, მზია, ფრთხილად იყავი, მატარებელი ახლა მალე ხილზე გავა და ძალიან შეტორტმანდება; კუ-კუ-კუ!—დაიყვირა ბიძინამ და ყუთი ღონიერად შეატოკა. მზიას ეამა რწევვა, ჯერ გაინაბა, მერე თვალეები წალულა და ძილიც მოერია. ბიძინამ იღროვა და ხელი მზიას ჯიბისაკენ გააბარა.

— ქურდობისათვის, იცი, რა დღეს დაგაყრი?!—უცებ მოესმა ბიძინას მეზობლის ხმა და ხელი უკანვე ცივად წაიღო. ეგონა, განზრახვას მიუხეზუნენ; ნამდვილად კი მეზობელი ძაღლს უჯავრდებოდა. ბიძინა ყუთიდან ამოვიდა, დედასთან გაიქცა და აღელვებით უთხრა:

— დედიკო, მზიას ჩაეძინა, ჩქარა, წამოიყვანე, კანფეტები არავინ მოპაროსო!



ნახატი მანანა მორჩილაძის

# БАРВИНОК

სულითა და გულით მიღობავით მარად ახალგაზრდა შუბნად „ღიღის“ შესანერწყნა იუბილუს.

ქირჭუნსო მწიკლუმო და მხატვარებო, ღამე, თქვენი კალამი და ფუნჯი მულამ ანიჭებლეს სიხარულს ნორჩ მკითხველს, კრძოლნაც კეთილ, პატიოსან, სმშობლუს მგზნებარ მობაღამელ ზადით.

ვუსვავებთ კადამციის მველა წივას მობად ბედნიერებას, ჯანმრთელობას და მშობარბ შმობამილუბით წვას.

„ბარვინოკი“, უკრაინა.



# კიკლი, კიკლი

მაცვალა გრეგლიშვილი

— კიკლი, კიკლი, კიბესა,  
 ყურცკვიტების ციხესა,  
 ბაჭიები სკუპიან,—  
 მელა კბილებს იღესავს.  
 — სტაფილო მაქვს ჩანთითო,  
 აქეთ ჩამობრძანდითო!  
 — არ ჩამოვალთ, არაო,  
 მელავ მატყუარაო!



# ნაჩილი ბებიას

გიორგი ჟიჟიშვილი

მუღამ, ჩემო სანატრელო,  
 საყვარელო ბები!  
 დაგკოცნი და დამიკოცნე  
 ყველა ნაცნობები.  
 ბები, ჩემო ტკბილო ბები,  
 აგრემც გენაცვლები,  
 მე ცალკე გამომიგზავნე  
 თეთრი ჩურჩხელები.  
 სხვა ხილიც არ დაივიწყო:  
 კომში, ვაშლი, მსხლები,  
 ჩამიჩი და ლედვის ჩირი,  
 თხილი და კაქლები.

# გუდიკო

ი. გრიშაშვილი

მაწაწინა გულიკო,  
 საით მიეჩქარები?  
 გსურს პირველმა შვალო  
 სასწაულებლის კარები!  
 თმებიც დავივარცხნია,  
 გადაგიცვამს ახლები,  
 მიხვალ, მიაბაკუნებ  
 გოგონების თანხლებით.  
 დღეს პირველად გიჭირავს  
 რვეული და წიგნები...  
 გაიზრდები, გულიკო,  
 კარგი ქალი იქნები!





# ბევსზე ბევსი

## მარიჯანი



გოგის ძალიან უყვარს ხილი, ტკბილესული. თუ რამეს მოჰკრა თვალი, აღარ არის მოსვენება.

— ბები, მომე ვაშლი! ბევრი ვაშლი მინდა.

— ბები, მომე თხილი, ბევრი, ბევრი თხილი! ბევრი კანფეტი.

ერთხელ ბებიამ ჩაისვა გოგი კალთაში და დაუწყო ბაასი:

— გოგი, არ მომწონს, მაგისთანა თვალხარბი რომ ხარ. რა ამბაეია, სულ ბევრს და ბევრს გაიძახი. აბა, ვნახოთ, რა გაქვს ბევრი:

- თავი ერთი!
- ცხვირი ერთი!
- პირი—ერთი!
- შუბლი—ერთი!
- თვალი ორი!
- ხელი—ორი!
- ფეხი—ორი!

გოგია ჩაფიქრებული უსმენდა.  
— ბები, შენ დავაფიწყდა, რომ თმა მაქვს ბევრზე ბევრი!—უთხრა გოგიამ.  
ბებოს ვაეცინა და ბევრი თხილი მისცა.



## ნახატი მანანა მორჩილაძისა



## ქათინოს ვედრება მზისაღმი

### ნოღარ ლუმბაქაძე

მსუე, დაბრუნდი, დაბრუნდი,  
ნუ ჩაუშვები ზღვაში,  
ზღვანს ცეცხლი წაეკიდება,  
ჩემი მამა ზის ნავში.  
იპას რომ რაზე შეუძთხვეს,  
რა შეუქვლება მამინ.  
მსუე, დაბრუნდი, დაბრუნდი,  
არც შე დატრწები ვაღში,  
დიღით რომ ამობრძანდები,  
შეგეკებები ტაშით.

# მიმინარია სოფლისკენ

ირაკლი ავაშიძე

ВАСИЛКА



შხანიზნავ თაკიღ, „ღიღის“  
 აკამოგის ოკოცოდაშეთო ვლი-  
 სთავს გულგზავალედ გილო-  
 ცავთ ჩავნც—ბელორუსი მგოგ-  
 აგბი. შუკნალი „ჰინასიოლკა“  
 დიდ წაკამბთავს გისუკავთ  
 თჰჰინს სოკვალღილუკ, კითილ-  
 შოგილუკ ხაჰმინღილუკ. „ღი-  
 ღა“ სოკვალღილუკ სოფიღილუკ  
 კითილი, ჰჰინინ და მხინაკული  
 მგოგბაკი—ჩჰინი ხაჰვაკული ზჰ-  
 ვჰინისა.  
 „ვიასიოლკა“  
 ბელორუსია.

მიმინარია სოფლისკენ,  
 სდაც სურმუსტი მთებია;  
 ჰირველი შემეკებება:  
 „შენ შემოკვევლოს ბებია!“  
 ღობესთან ჩაიკისკისებს  
 წყარო ცივი და ანკარა,  
 სელებზე შემომასტება  
 ბაბუსა უურშა ჰატარა.  
 ვაი, თუ აღარც ვახსოვარ,—  
 მას შემდეგ მთელი წელია,  
 მთელი წელია მოკითხვა  
 ერთხელ არ მიმიწერია.  
 იქნება ნიშაც შემდურის,  
 იქნებ შემდურის მერცხალაც,  
 მბერამ რა შექნა, სეოლბი  
 მე კანა მათთვის შეცალა?!  
 სწავლის დროს სწავლა

ემირული

მოსწავლის შესაფერა.  
 ანლა ვიქოლოთ ველებში,  
 მთელი ზაფხული ჩვენსა.  
 მიმინარია სოფლისკენ,  
 სდაც სურმუსტი მთებია.  
 სოფლის თავს შემეკებება:  
 „შენ შემოკვევლოს ბებია!“

## ღომი და ხარები

**სერბო კლდიაშვილი**

ლომი ორ ხარს თავს დაესხა, მგარამ ხარები მეგობრულად შეერთდნენ, რქენა დაუწყეს და მოიგერიეს.  
 მაშინ ლომმა ხერხს მიმართა და ერთ ხარს უთხრა:  
 — თუ მეგობარს მოშორდები, შენ არაფერს ვაგნებო.  
 ხარმა დაუფერა და მეგობარს მოშორდა, ამით ისარგებლა ლომმა, — ჯერ ერთი ხარი გაგლიჯა და შემდეგ — მეორე.



# სიმართლე

გრიგოლ ავაშიძე

გვიყვარს, როგორც იაყნანა,  
 როგორც ტკბილი ზღაპარი,  
 საქართველოს ცა და მიწა,  
 საქართველოს მთა-ბარი!  
 იგი ქვეყნის თვალი არი,  
 ზურმუხტ-ლალი ჰუგინა.  
 ალატ-წითელ, ალატ-შვითელ,  
 ალატ ალისფერია!  
 ან კი როგორ ხარ გვიყვარდეს  
 ხალხს სასულგანთქმული,

ვაჟკაცების დედაენა,  
 დედაენა ქართული!  
 თუ მაძებდა აუკუაგუს  
 გულ-მინდვრები ბაღებით,  
 ჩვენც სამშობლოს დირსეული  
 ძეგვადრენი გავსდებით!  
 რადგან ახლა ჩვენს მამულში  
 ხენიც, ქვანიც მღერიან...  
 ალატ-წითელ, ალატ-შვითელ  
 ალატ-ალისფერია!

# კრეჭანა

რევაზ ინანიშვილი

ლადოს კრეჭანას ეძახიან. ეს იმიტომ, რომ  
 გან-განზე ამოსული დიდი კბილები აქვს და სულ  
 იცინის, იცინის...

ერთხელ კრეჭანას მეველემ დაუძახა:  
 — მოდი აქ!

კრეჭანამ გაიკრიბა და მივიდა.

— მწიფე გულაბი არ გინდა?—ჰკითხა მევე-  
 ლემ.

კრეჭანამ ისევ გაიკრიბა და თავი დაუქნია:

— მინდა.

მეველემ ჩანთიდან ჩაყვითლებული გულაბი  
 ამოიღო და გაუწოდა.

კრეჭანამ გულაბი იმწამსვე პირისკენ გააქანა  
 და ჩაკბიჩა.

მაგრამ მეველემ გულაბი ხელიდან წაართვა,  
 მერე ჩანთიდან სხვა გაკბეჩილი გულაბი ამოიღო  
 და ახლად გაკბეჩილს შეადარა. ორივეს ერთნაი-  
 რი ნაკბილარები ეტყობოდა.

მეველე კრეჭანას ურრში სწვდა:

— იყავი თუ არა ჩვენებთანთ გულაბზე?

უარის თქმა აღარ შეიძლებოდა.

— ვიყავი!—აღრიალდა კრეჭანა.

ასე დაიჭირა მეველემ ეს ონავარი ბიჭი ქურ-  
 დობაზე.



# გავშვები და შემოდგომა

იოსებ ნონაშვილი

სილით, ღვინით, ზეიმით  
შემოდგომა მოვიდა.

— შემოდგომავე, გვითხარნი,  
მობრძანდები შორიდან?

— არა, ჩემო კარგებო,  
შორი მკვდარი როდი ვარ.  
მე თქვენს ვენახებიდან,  
ბაღებიდან მოვდივარ.

გვითხარ, ასე ბარბაქით  
ნეტავ ვინ დაგამშვენა?

— ვინა? თქვენი მშობლების  
დაუღლეღმა მარჯვენამ.

— გვითხარ, რა მოგვიტანე,  
აგრემც შემოგველებით!

— ზანის სელით მოწვილილი  
დაშაქრული მტევნები.

მოსავალი ულავი,

თვალთ ჯერ არ ნახული,

ნარინჯები კოლხური,

ჩურჩხელები კასური.

— ჩვენგან რაღას მოითხოვ,  
შემოდგომავე ღამისო?

— მინდა კარგად ისწავლოთ,  
მინდა არ იხანძცოთ!



საქართველო  
შპს "ლიტონიკა"

## ბაღმარაი

შვირფასო „ლილა“, დაბადების ომონოსდა-  
მითი ფლისთავი შეც გულგზავდალდე მო-  
გებალმეხი. გინურავებ ახალ-ახალ წარმატე-  
ბებს,—ძართველი ბავშვის, ჩვენი ძველის  
გოგავალი პატრიოტების აღზრდის საქმეში.

„ბოლო დროები.“  
ყაზახეთი.

## უარუარები

### ღოღო ვალაშორია

— ბაკ-ბუკ, ბაკ-ბუკ!—ისმოდა ოთანში ღიზი-  
კოს ფეხის ხმა.

— ჩუმად იარე, ნუ ხმაურობ,—უთხრა პაპამ.  
ღიზიკო ცდილობდა ჩუმად გაველო, მაგრამ  
ფეხსაცმელი თავისას არ იშლიდა.

— ბებო, ჩუმი ფეხსაცმელი მიყიდე,—სთხოვა  
გოგონამ ბებოს.

ბებომ ღიზიკოს ფაჩუნები შეუცერა.

ილია სიხარულიძე



საქართველოს  
კულტურის მინისტრის  
გამოცემის

აგერ ვაკე მინდორია,  
ხეები ღვას ირგვლივ ჯარად.  
წრე შეუკრავთ პაწაწინებს,  
წრეში მწყრივად ჩამომდგარან.  
ისმის ტაში, მწყობრი ტაში,  
ტრიალებენ, როგორც ჯარა;  
დოლი მღერის: „ვათამაშებ  
ამ პატარას,  
იმ პატარას,  
იმ პატარას,  
ამ პატარას!..“  
გამოუხტა ოთარიკო  
და „ქართული“ დაუარა;  
ფეხებს ისე ათამაშებს,  
ბალახს არც კი დააკარა!  
შხეხათუნა მასთან ცეკვავს,  
გადაიქცნენ ნიავექარად;  
დოლი მღერის: „ვათამაშებ  
ამ პატარას,  
იმ პატარას,  
იმ პატარას,  
ამ პატარას!“



## ნინიკო და ცუგო

თავარ ჩხაიძე

ნინიკო ეზოში გამოცქრილდა, ხელ-  
ში პური ეჭირა. ხტუნვა-ხტუნვით და  
კულის ქნევით ცუგო გამოეგება.

— ცუგო, ცუგო, ყველი და პური  
გინდა?!

— ჰამ, ჰამ!

შესანსლა ცუგომ ყველი და პური თუ  
არა, ნინიკოს დედაც მოვიდა.

— ნინიკო, ყველი და პური შეჭამე?

— ჰო!

— აბა, დედა დაიფიცე!

— ცუგომ დაიფიცოს!

# ზვიღ

# საიდუმლო



## სოლომონ დამურხანაშვილი

ერთხელ გიგა თავის ტოლ-ბიჭებთან ერთად ქაბა სოკოზე წავიდა. ვერც კი გაიგეს, ტყეში ისე შემოაღამდათ. მერე მოიღრუბლა კიდეც და ჟინჭღვლა დაიწყო. ბიჭები ხან აქეთ ეცნენ, ხან—იქით, მაგრამ გზა ვერ გაიგნეს. ქერთაშიან ზურჩას ცრემლები მოეჩრია.

— სულ შენი ბრალია, გიგა, შენ წამოგვიყვანე. იხლა რა უნდა ვქნათ, როგორ გავიგოთ, საით არის ჩვენი სოფელი?

გიგას მამა მეტყვევ იყო. ნახევარი ცხოვრება ტყეში ჰქონდა გაატარებული და, რასაკვირველია, ტყის ყველა საიდუმლო იცოდა. გიგას გაახსენდა მამის ნათქვამი: ხეს ხავსი მუდამ ჩრდილოეთის მხრიდან აქვს. ვინიცობაა, მხარი გვეცვალოს, ხემ უნდა გითხრას, საით არის ჩრდილოეთი და საით სამხრეთიო. გაახსენდა და გამხიარულდა.

— იცით რა, ბიჭებო,—უთხრა ამხანაგებს,— ჩრდილოეთით უნდა წავიდეთ და სამშვიდობოს გავალთ.

— მზე აღარ ჩანს და როგორ გაიგებ, საით არის ჩრდილოეთი?

— ხეები გვეტყვიან.

— ხეები?

— ჰო, ხეები.

გიგამ ტყის საიდუმლო გაანდო ბიჭებს და შიშმა ყველას უცებ გაუარა.

## კრიჭი-კრიჭი

### ნაზი კილასონია

ზაფხულია... ცხელა, ცხელა, ბული ასდის ქალაქს და დედოკომ ჩვენი გელა წაუყვანა დალაქს. მაკრატელი ალულუნდა... კრიჭი, კრიჭი, კრიჭი, და ხოტორა დაგვიბრუნდა თმაქოჩორა ბიჭი. დასცინიან რეზო, გია, ამშვიდებენ დები: — ბიჭო, მალე ამოგივა უკეთესი თმები!..

ნაზი სოლომონ დამურხანაშვილისა

## Кожерчин

გილოცავთ 50 წლის-თავს. ჩვენი სუბპი-ლია — თვითმფლავი ფილმა ახალ-ახალი წარმატება და სიხარული მოგიტანეთ. პრო-ველთის მშვენიერად დაუპრობა ურთილი-ვოს თქვენი ფილმებ-ანი.

«გოიარჩინი»  
აზერბაიჯანი.



## ენო გეოგრაფილი

— თემო, აი, რა ვიშოვე!— შემოვსმა თემოს ზურას ხმა. ზურას ხელში ძველისძველი საცრის ნახევარი ექირა.

— რისთვის გინდა?— ჰკითხა თემომ.

— ხიდის თალღ გამოგვაღებო. ხევში ვიპოვე და წამოვიღე.

ზურამ საცრის რგოლის ნახევარი რუს დაბომა, გადასწვდებო თუ არაო. თემომ რუს უფრო ღრმა და ვიწრო ადგილი მოძებნა, წყალს ზემოდან დაედგა და თქვა:

— მართლაც კარგია, თალის გვერდებს და ზევითა ნაწილს ცემენტით ამოვაშენებთ. ოღონდ, სად ვიშოვოთ ცემენტი?

ბიჭებს ბებია სონას ეზო გაახსენდათ, იქ აუარბევი ქვიშა და ცემენტი ყყარა. ბებია სონასთან გაიქცნენ და ორი მუჭა ცემენტი გამოსთხოვეს. გაჩალდა მუშაობა. ბიჭებმა ჯერ

რუ ამოასუფთავეს, მერე საცრის ნაპირებზე მიწაში ჩაამაგრეს და ცემენტით ამოაშენეს. თალის ზემო ნაწილიც ისე გადაღეს, რომ ნაპირებს გაუთანასწორეს.

— აბა, ეს რა ხდია, ზედ ერთ ნაბიჯსაც ვერ გადაადგამ, — შენიშნა პატარა ნუგზარმა.

— კუტ-კუტ, კუტ! — გაისმა უცბად მათ მახლობლად.


აფხორილი კრუხი წიწილებს პირდაპირ რუსკენ მიუძღოდა. მივიდა თუ არა რუსთან, კრუხმა ისკუბა, გადახტა და მეორე ნაპირიდან მიიხმო შვილები.

— წია, წია, წია! — წიგწივებდნენ წიწილები და გადასასვლელს ეძებდნენ. ერთმა ქვა მოძებნა, შეხტა და ისე გადავიდა მეორე მხარეზე. მეორემ პაწია ფრთები გაშალა და გადაფრინდა. დანარჩენები რუს გადალმა უმწოდ დარჩნენ. უცებ ერთი მათგანი ბიჭების ვაკეთებულ ხიდს წააწყდა. წიწილამ გადაირბინა ხიდი და განარბეული დედასთან მიიქრა. სხვებიც უკან მიჰყვნენ.. კუტ-კუტ და წია, წია, — ერთმანეთში აირია.

— ახლაც იტყვიან, გამოსადეგი არ არისო? — გაუხარდათ ბიჭებს.

ბავშვებმა ხიდს წიწილის ხიდი შეარქვეს.

ნახატი გიორგი როინიშვილისა





# ვინ უფრო გიყვარს ბიყვარს?

ქ. გოგიაშვილი

- ვინ უფრო გიყვარს გოგითა?
  - ვინც ბევრ კანფეტებს მომიტანს
  - ვინ უფრო გიყვარს ხათუნა?
  - თოჯინა, თვალგებხატულა!
  - შენ ვინლა გიყვარს, ირა?
  - ვინც ნაყინს მომცემს ხშირად!
  - შენ, ჩემო ცუგრუმელოვ,
- ვინ უფრო გიყვარს, ლელა?  
 — ჩემი ქალარა ბაბუა  
 სულ მირჩვენია ყველას!

ნახატი სოფიო კინწურაშვილისა



## ჩვენი დედა ქალაქი

ჩვენი მარგინი

ჩვენი ქვეყნის სილამაზე,  
 უწმინდესი ალაგი—  
 საყვარელი თბილისია  
 ჩვენი დედა-ქალაქი.  
 საქართველოს გული არის,  
 სიმტკიცე და სინდისი,  
 უძველესი და ახალი  
 ჩვენი დიდი თბილისი.  
 მას დიდება, გამარჯვება,  
 ვინაც დაგვლო ამაგი,  
 განაახლა, ააშენა  
 ჩვენი თბილის-ქალაქი.  
 ჩვენი ქვეყნის სილამაზე,  
 უწმინდესი ალაგი,  
 რა კარგია, რა ლამაზი,  
 ჩვენი დედა-ქალაქი.

დათვი  
 ღოღო  
 კკედი

ტარიელ ზანტური

— მგელო, მგელო, საძაგელო,  
 მგელო, მგელო, თხა-პარია,  
 მთელი შენი ვაჟკაცობა  
 მოგონილი ზღაპარია.  
 — დოთუნია, განა ყველა  
 ბაზბაჯა და საპყარია!  
 თხას ვიპარავ, აბა თათლი,  
 ნეტავ რა მოსაპარია!..





# ჭაღჭაღ

## ქეთევან ზილაშვილი

მწიფს ბალი, მწიფს. ხეზე შემომსხდარან გიო, თინა და შიო. იმათი წკრიალა სიმღერა სოფელს ეფინება. მწიფე ბლით ხან პირს იტკბარუნებენ, ხან—ტოტებზე ჩამოკონწიალებულ პაწია კალათებში ჰყრიან.

აგერ კენწეროზე სამი ჩიტუნა ჟივჯივით შემოჯდა.

— აბა, გიო, გამოიცან რას ჟღურტულეებენ ჩიტუნები?—ჰკითხა ძმას შიომ.

— ჩვენც და-ძმანი ვართო!—შესძახა გიომ.

— არაფერიც, ჩვენც ვიცით სიმღერაო,—ყელი მოიღერა თინამ.

— ვერ გამოიცანით, — გადახედა და-ძმას შიომ,—იცით, რას ჟივჯივებენ?—სულ ნუ გაკრეფთ, ცოტა ჩვენც დაგვიტოვეთ.

— დაგვეწვიეთ, დაგვეწვიეთ! — მიიბატიყეს ყმაწვილებმა ჩიტუნები.

ნახატი ვახტანგ გულისაშვილისა



## რას ჟღურტულეებენ ჩიტები?!

### ზიორგი შატაბერაშვილი

რად აწუდებიან ფანჯარას, რას ჟღურტულეებენ ჩიტები! ადექით, დილა გათენდა გამარჯვების და დიდების!

ადექით, სწრაფად ჩაიხვიეთ, შეკონეთ ია-ვარდები, გამარჯვების დღე მოსულა, ვადაიხარეთ დარდები!



# სიმაკრა ბაგულა

ჯანსულ ჩარკვიანი

პაი, დიღიმე, დიღიმე,  
მთა-ბარი შემოფირბინე,  
მთაში წყარონი მღერინა,  
ბარში მინდორი ბიბინებს.  
წყაროსაც დავეწაფები,  
დავკრფე ვარდებს და გვირიღებს,  
რა დამაბი ხარ, მამუღო,  
შენი გამხენის პირიმე.

თარგმნის  
გენერალი

ქვირფასო გავფი-  
ბო, ქვირფასო კოლმ-  
გეგო გილოცავთ სა-  
ხელმოვანი ჟურნალის  
„დიღის“ ნახვარასა-  
კონოვან იუბილეს.  
ღამ, თქვენი „დიღი-  
გავაფხულის ყვავი-  
ლივით გარალ ივლ-  
გოღეს და იფარჩამ-  
ბოღეს:

პატივისცემით,  
სომხური საბავშვო  
ჟურნალის  
„წიწვირნაკის“  
რედაქცია.

## ხსრაფეხა და ნალბანდი

გიორგი წაკათელი


ცხრაფეხამ უთხრა ნალბანდას:  
— მოდი, მომარგე ნალია...  
— ნეტავი ნალი რად უნდა,  
რომელი მორბენალია,  
რომელი ხარი ეგა მყავს,

გამივსოს ხოღმე ნალია,  
რომელი ვირი ეგა მყავს,  
ოჯახის მარჩენალია,  
მაგას რომ ჭეღვა დაფუწყა,  
ცხენს არ დარჩება ნალია.

## ჭკვიანი ბაჭია

გივი შიშინაძე

— ერთ ვაშლს ერთი მიფუმატოთ,  
რამდენია ბაჭია?—  
არ დაიბნა პაწია,  
ორი ყური ასწია.



# ხელთათმანი

## ვლადიმერ ასლავაზიშვილი

სკოლიდან დაბრუნებული ლეო შემოაღებდა თუ არა კიშკარს, მარჯვენა ხელს ასწევდა და ხუთივე თითს გაფარჩხავდა: გამოიხედვო, ხუთიანი მივიღეო.

ბებია დარო ამ დროს ყოველთვის ფანჯარასთან იჯდა და ლეოს ელოდა.

ერთხელ ბებია დარომ შეილიშვილს ახალმოქსოვილი, თოვლივით ქათქათა ხელთათმანები დახვედრა: რაკი შენ ხუთიანებით მიხარებ გულს, არც მე დაგრჩები ვალშიო.

ლეომ ერთი კი დახვდა ხელთათმანებს და ისევ ბებიას დაუბრუნა:

— არ მომწონს!

— რატომ, შეილო?

— ცერა თითი ცალკეა, დანარჩენი ოთხი კი— ერთად.

— განა დაგაეწედა, ბაღში რომ დადიოდი, სულ ასეთ ხელთათმანებს არ გიქსოვდი?!

— არა, ბები, ისეთი ხელთათმანები მომიქსოვე, ხუთივე თითი ცალკე-ცალკე ჰქონდეს: სკოლიდან რომ დაებრუნდები, შორიდან „ხუთიანს“ კარგად დაგანახებ!— მიუგო ლეომ.



ნახატები თამაზ ხუთიშვილისა  
გრაფიკული  
ხელოვნება



## საქანელა

### გიორგი კაჭახიძე

მზიარული თინათინი საქანელამ გაახარა, ზედ დასკუბდა, გაიცინა, ააქანა, დააქანა.  
— ერთი, ორი! ერთი, ორი!— ალტაცებით ითვლის ბავშვი. ეზოს ისე გადასცქერის, თითქმის იუდეეს თვითმფრინავში. ხან ქარივით დაეშვება, ხან—ჩიტვივით მიჰქრის მაღლა და ჰიკიკივით ხმას უერთებს ჩიტუნებით სავსე ბაღნარს. ფიქრობს: „ისე მიმოვჭრივარ, ვით მერცხადი, ვით ნიაგი, საქანელა ასეთია, რა იქნება თვითმფრინავი?!“



# ზამთარი

ბივი ანელაძე

თოვს...  
თოვს...  
თოვს...  
თოვს...



მესამე დღე არის—თოვს,  
სურობზე მოფორინდენ შშიფრი შაშვები—  
აძინდი დაუღდა თოვს.

ბუხართან ბაბუა აბოლენს ყალიონს,  
ბებია საწინდეს რთავს...

— შეხედდე!  
— შეხედდე!  
რა დიდი თოველია,  
რა კარგი ზამთარი გვაქვს.



ქრის...  
ქრის...  
ქრის...  
ქრის...



ტოტები ემტრები ზეს,  
მზიარულ სოფელში გაჩაღდა ტყუპობა—  
სტუმრები გვიწვიენენ ჩვენც...

ეუყურებ თოვას და...  
შეგობია



მალფიდან  
ჩახქვირი იღვრება რძის...

ერის...  
ერის...  
ერის...  
ერის...



ცა ფეხად ჩამოდის ძირს.

თოვს...  
თოვს...  
თოვს...  
თოვს...



თეთრია მინდორი, მთა;  
გორაკზე ბავშვებმა წამოდგეს ბაბუა,  
რომეღვიც თეთრია მთლად.

ნამდვილი ბაბუა ბუხართან ულოონს  
აბოლენს—თან იქნენ თავს...

... ბო...  
... ბო...  
... ბო...  
... ბო...



რა დიდი ზამთარი გვაქვს!

# საქართველო მომიქარგე

ავთანდილ გურგენიძე

მზეო,  
მზეო, თვალხატულავ,  
იხარე და იბრაილე,  
სარკესავით ნათელ ცაზე  
დროშასავით იფრიალე.  
დამიშაქრე ოჯალეში,  
დამიშაქრე  
ციცქა,  
თითა...  
საქართველო მომიქარგე  
სითბოთი და სინათლითა!



# ZILITE

სულითა და გულით  
გილოცავთ „ლილის“  
შთელ კოლექტივის  
შტანდლის არამგობის  
50 წლისთავს. გისურ-  
ვებთ წარმატებას ზე-  
მოძველებით მუშაო-  
ბაში, რაბთა ღირსშე-  
ლად აღზარდეთ ახ-  
ლადგული ჩვენი ნოკ-  
რი თანობა, — მოგვავალი  
შემეგებელი კოვუნო-  
მისა.

ქურნალ  
„ზილიტე“  
რედაქცია.  
ლატვია.

# კაპუცი

## მერი გოლქვაძე

ნანამ იმდენი ივარცხნა თმა, იმდენი, ვიდრე სავარცხელი არ გატეხა. გატეხილი სავარცხელი სარკის წინ ჩუმად დადო, თვითონ კი ფანჯარაზე დასკუპდა ფისოსავით და ვითომც აქ არაფერიაო, გარეთ დაიწყო სტერა.

დედამ გატეხილი სავარცხელი რომ ნახა, თავისთვის ჩაილაპარაკა:

- სავარცხელი გამტყდარა.
- მე არ გამოიტეხია!—თქვა მამამ.
- არც მე გამოიტეხია!—იუარა ბებომაც.
- არც მე!—წამოიყვირა ნანამ.

დედამ გაიცინა.

— ალბათ მე გამოტყდა, ან თავისით გატყდებოდა, —ამოიოხრა ბებომ.

— რა ამბავია, სულ ასე თავისით ტყდება ყველაფერი? —მამამ მხრები აიჩეხა და ოთახში გაიარგამოიარა.

— შენ არ ვაგიტეხია, მე არ გამოიტეხია, იმას არ ვაუტეხია, აბა, ვილაც შემოსულა, სავარცხელი ვაუტეხია და ისევ უკან წასულა, —დაუმატა ბებომ.

პაპა აქამდე ჩუმად იყო, ახლა კი გაზეთი გვერდზე გადაიდო და თქვა:

— რა მოხდა, რა ამბავი ატეხეთ ერთი ციკქნა სავარცხლის გულისთვის? მე ვივარცხნიდი თმას და გამოიტყდა.

ყველამ პაპას შეხედა და ერთი სიცილი ატყდა: აი, სერიო, პაპას ხომ ერთი ღერი თმაც არა აქვს თავზე?!

ნანა პაპასთან მივიდა. მელოტ თავზე ხელი მოუცაცუნა და უწურწურლა: —ჩემმა თმამ გატეხა, პაპა, ჩემმა თმამ!

— ეგ მეც კარგად ვიცი, მაგრამ რატომ თვითონ არ ამზობს მე ვაუტეხეო?! —წურწურლითვე მიუგო პაპამ.



## ძეგები

### ლეილ პრაპე

იცით, როგორი ბიჭია ჩემი უმცროსი ძამიკო? ერთი თხილი რომ თხილია, — იმასაც ძმურად გამიყოფს. მარტო უფროსი კი არა, ტანდაც უფრო ღირე ვარ, ხეივებდაკივებულდი სკოლაშიც ერთად მივდივართ.

# ამყანე

ჰვირფანო კოლმეგობრო ვილოცავთ სახელოკვან იუბილუმს—, დილის“ ბასე-ბოგის 50 წლისთბას.

ზ78 წელს უფრო დიდი წადმობობა მომბანოს თქვეთვინს.

ხანდაკლვი ჯანდათელოგბას ვისუკ-ვაბთ ჰვირფანო ვიმობამოს.

ფურნალ „ამეც ბნის“ კოლექტივი-აფხაზეთი.



# სტუმრობანა

ხუტა ბერძლავა

სტუმრობანა! სტუმრობანა!  
ძმაო გოგა, ვსტუმრობ განა,  
ტახტზე უზის დაღის ნანა—  
ფელოფადა აღვისტანა.  
შეენის კაბა სიფრიფანა,  
რომ ანათებს იმისთანა.  
რომ მორცხვობდა ხანდახანა.  
გახადისდა თანდათანა.  
მეზობლებსაც ართობს ნანა;  
იაგ-ნანა, ვარღო ნანა...  
რა კარგია სტუმრობანა!



სტუმრობანა  
ხუტა ბერძლავა

## ნუღკლასელი

ნოღარ შამანაძე

გოგნი, გოგნი, გოგონა,  
გოგონია კვანწია,  
მიგოგმანებს სკოლაში,  
ჯერ ექვსი წლის არკია.  
თეთრი ბაფთა უხდება,  
ფორმის კაბა აცვია,  
თმები კოხტად დაუწინავს,  
კოხტად გაღუვარცხნია.  
„ღეღაენა“ უმშვენებს  
წითელ ჩანთას—ბაწიას.  
მიგოგმანებს, მიგოგავს  
გოგონია კვანწია.

## საზამთრო

პარლო კობერიძე

ლია საზამთროს მიირთმევს,  
თან ეკითხება ვიას:  
— ზამთარშიც რატომ არა  
გვაქვს,  
თუკი საზამთრო ჰქვია?—  
გიაც საზამთროს მიირთმევს,  
თან უპასუხებს ლიას:  
— ალბათ ზამთარშიც გვექნება,  
რადგან საზამთრო ჰქვია.



## ყვანჩაღა და ცანცაღა

ფურგან ლვანიძე

ჰაი, ჰაი, უსიცივებო ყვანჩაღა!  
ჩემს ბაჭიას ნაცარას და ცანცაღას,  
თავზე თოვლი დააყარე ურცხვადა—  
ვაპ, თუ სურღო შეეყარა უცბადა!..  
გაკვირვებით რას დამყურებ ტოტირედა!  
მანღ დაფრენა რალა ახლა მოგინდა!  
...ნურც ყოფიღა ქვეყნად ჩემი ბაჭია,  
ნურც გამზრდია, ნურც გამზდარა კურღლედი,  
თუ კი შენებრ გაიზრდება უზრდელი!



სახატებო სოფიო კინფურაფვილინა

